



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
14 მარტი, 2016

ეკონომიკა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2015 წლის მე-4 კვარტალში წლიურად 49.1%-ით შემცირდა და 267.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (საბოლოო მონაცემები 2016 წლის აგვისტოში გამოყვეყნდება). ამასთან, 2015 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიურად 23.2%-ით შემცირდა და 1.35 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა შემდეგ სექტორებში: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (594 მლნ აშშ დოლარი, +37.0% წ/წ), საფინანსო სექტორი (191.2 მლნ აშშ დოლარი, +65.8% წ/წ) და მშენებლობა (129.1 მლნ აშშ დოლარი, -59.2% წ/წ). 2015 წელს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ: აზერბაიჯანი (541.8 მლნ აშშ დოლარი, +58.7% წ/წ), გაერთიანებული სამეფო (198.4 მლნ აშშ დოლარი, +84.5% წ/წ) და ნიდერლანდები (111.0 მლნ აშშ დოლარი, -70.3% წ/წ).


საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2016 წლის თებერვალში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წინა თვესთან შედარებით 21.6 მლნ აშშ დოლარით (-0.9%), ხოლო წლიურად 1.8%-ით შემცირდა და 2.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვების შემცირება გამოწვეული იყო მთავრობის სავალუტო ოპერაციებით და/ან აქტივების გადაფასებით.

მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2016 წლის 9 მარტს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ, რაც 8.0%-ს შეადგენს. სეპ-ის ინფორმაციით, გამყარებული მონეტარული პოლიტიკა დადებითად აისახება ინფლაციური მოლოდინების ეტაპობრივ შემცირებაზე. პროგნოზის მიხედვით, მოსალოდნელია, რომ 2016 წლის პირველი კვარტალის შემდგომ ინფლაცია შემცირდება, თუმცა კვლავ 5%-იანი მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში იქნება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა გაიმართება 2016 წლის 4 აპრილს.


უძრავი ქონების ბაზარი და კომპანიების რეგისტრაცია: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანახმად, 2016 წლის თებერვალში, უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობამ 53,213 ერთეული შეადგინა, რომელიც წინა წლის თებერვალთან შედარებით 17.3%-ით არის გაზრდილი. ზრდა დაფიქსირდა როგორც პირველად (+44.5% წ/წ, მთლიანის 21.4%), ასევე მეორად (+11.6% წ/წ, მთლიანის 78.6%) სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობაში.

2016 წლის თებერვალში, რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 4,231 ერთეული შეადგინა, რომელიც წინა წლის თებერვალთან შედარებით 2.4%-ით, ხოლო 2016 წლის იანვართან შედარებით 50.5%-ით არის გაზრდილი. თებერვალში დარეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტებიდან, 95.7% სამეწარმეო სუბიექტია, ხოლო 4.3% არასამეწარმეო.

ინვესტიციები სექტორების მიხედვით, 2015



ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით, 2015



წყარო: საქსტატი


ეკონომიკური ინდიკატორები

	2M16	2015E	2014
მშპ (%-ლი ცვლილება)	0.8%*	2.8%	4.6%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	9,566	9,209
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	3,765	3,676
მოსახლეობა (მლნ)	3.7**	3.7**	4.5
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	5.6%	4.9%	2.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.4	2.5	2.7
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	...	10.7%	10.6%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	...	3.0%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	41.1%	35.5%

წყარო: ოფიციალური მონაცემები
*2016 წლის იანვარი

**მოსახლეობის აღწერის წინასწარი შედეგები

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

შენიშვნა: 4Q15-ს ზრდა მოცემულია წინასწარი შეფასებით

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში, 2016

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №24 (რეგიონის ლიდერი)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №23 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №66 (გაუმჯობესებული ტენდენცია)

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POORS BB- სტაბილური დასატრფილი მაისი-2015	Moody's INVESTORS SERVICE Ba3 პოზიტიური დასატრფილი მარტი-2015	FitchRatings BB- სტაბილური დასატრფილი ოქტომბერი-2015
--	---	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 700 მლნ ლარის (285.6 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.

სადეპოზიტო სერტიფიკატები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 182-დღიანი, 20 მლნ ლარის (8.1 მლნ აშშ დოლარი) ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები გაყიდა. საპროცენტო განაკვეთმა საშუალოდ 9.66% შეადგინა (25 საბაზისო პუნქტით ნაკლები წინა განთავსებასთან შედარებით).


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2016 წლის 9 მარტს 2-წლიანი 40 მლნ ლარის (16.2 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 13.35% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2016 წლის 23 მარტს, სადაც 5-წლიანი 10 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემები

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სეზ

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას



ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ევროობლიგაციები (GEBGG) დაიხურა 4.9%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 103.6 (+0.2% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით - 100.5 (+0.3% წინა კვირასთან შედარებით), 6.4%-იანი შემოსავლიანობით, ხოლო საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაციები (GRAIL) ივაჭრებოდა 104.9 ფასად (+0.6% წინა კვირასთან შედარებით), 6.8%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაციები (GEORG) დაიხურა ფასით - 106.4 (+0.5% წინა კვირასთან შედარებით), 5.4%-იანი შემოსავლიანობით.


	ადგილობრივი ობლიგაციები				ევროობლიგაციები			
	GWP 11/17	M2RE 03/17	EVEX 05/17	GLC 09/17	GEOROG 05/17	GEBGG 07/17	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	6*	20	15	10	250	400	500	500
გამოშვების თარიღი	11/15	03/15	05/15	09/14	მაი-2012	ივლ-2012	აპრ-2011	ივლ-2012
დაფარვის თარიღი	11/17	03/17	05/17	09/17	მაი-2017	ივლ-2017	აპრ-2021	ივლ-2022
კუპონი, %	15.000**	9.500	9.500	8.750	6.875%	7.750%	6.875%	7.750%
Fitch/S&P/ Moody's	BB-/	-/-	-/-	-/-	BB-/B+	BB-/BB-/Baa3	BB-/BB-/Baa3	BB-/BB-/
საშუალო ფასი, აშშ \$	100.0*	99.0	100	98.0	100.5	103.6	106.4	104.9
საშუალო პროცენტი %	15.0	10.1	9.5	9.7	6.4	4.9	5.4	6.8
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	488.4	397.8	395.0	522.7

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 11/17 მოცემულია ლარში


** მცურავი კურსი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7.5%)

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა %)



წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ევროობლიგაციების
ბაზარი



წყარო: ბლუმბერგი

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Baa3	106.4	5.4	395.0
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BBB-/Baa3	94.1	5.7	399.7
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/	120.3	1.1	-246.0
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/Baa1	102.4	3.4	319.2
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BB+/BB+/Baa1	113.4	3.4	189.1
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	118.9	3.2	168.7
როსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BB+/Baa1	105.1	3.7	228.9
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BBB-/NR/Baa3	107.1	4.1	261.3

წყარო: ბლუმბერგი



აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 19.60 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (+1.03% წინა კვირასთან შედარებით და +24.21% გასულ თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 270 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 19.14 – 20.00 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 53 ათასი აქცია შეადგინა, რაც გასული თვის მონაცემზე ნაკლებია. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან დაიკლო 1.94%-ით ხოლო წინა თვესთან მოიმატა 9.38%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.68% შეადგინა.

თიბისი ბანკის (TBCB LI) აქციები დაიხურა 9.90 აშშ დოლარში (+4.21 წინა კვირასთან შედარებით და +5.32% წინა თვესთან შედარებით). ბანკის გლობალური სადეპოზიტო ხელწერილებით (GDR) ვაჭრობის მოცულობამ 10 ათასს გადააჭარბა, US\$ 9.50 – 10.40 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 4 ათასი აქცია შეადგინა, რაც ნაკლებია გასული თვის შესაბამის მონაცემთან შედარებით.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 1.62 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (+0.47% წინა კვირასთან შედარებით და -4.01% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 37 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 1.58 – 1.62 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 18 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.03% შეადგინა.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე გარიგება არ დადებულია. შედეგად გალტ ენდ თაგარტის ინდექსი არ შეცვლილა და 886.18-ზე შენარჩუნდა.

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
BGEO*	BGEO	28.23	1,115	23.7%	1.5%	-0.4%	-12.7%	2.3%
TBC	TBC	9.90	485	5.3%	2.6%	0.0%	-21.4%	-17.5%
Halyk Bank	HSBK	4.75	1,296	31.8%	-13.3%	-30.7%	-44.1%	-22.9%
KKB	KKB	1.00	399	42.9%	-33.3%	-63.2%	-73.7%	-71.0%
VTB Bank	VTBR	2.13	13,829	30.4%	0.6%	7.2%	-7.2%	6.7%
Vozrozhdie nie Bank	VZRZ	7.54	179	16.8%	-12.0%	-16.1%	2.2%	9.9%
Sberbank	SBER	6.76	36,482	32.9%	13.2%	47.5%	66.9%	44.1%

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *BGEO ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)


ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
GHG*	GHG	2.33	298	-4.4%	-10.1%	nm	nm	nm
Mouwasat	MOUWASAT	31.98	1,599	9.6%	6.2%	-2.9%	-2.7%	-12.1%
Fortis	FORH	2.51	1,164	11.0%	-3.4%	1.2%	43.0%	1.5%
Raffles	RFMD	3.19	1,833	7.8%	4.0%	-0.5%	8.5%	11.4%
IHH	IHH	1.59	13,074	1.1%	9.5%	17.4%	15.5%	9.5%
Bangkok Chain	BCH	0.29	711	19.7%	25.0%	46.8%	18.7%	12.3%
Netcare	NTC	2.23	3,256	8.2%	11.1%	-18.8%	-32.2%	-35.5%


წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *GHG ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)


BGEO ჯგუფი (BGEO LN)



თიბისი ბანკი (TBCB LI)



საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)





მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge